დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109260573**
თარიღი:**26/02/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მაგთიკომს“ შორის 2018 წლის 31 ივლისს დადებული „იჯარის ხელშეკრულება N67“-ში ცვლილების შეტანის შესახებ დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-2 პუნქტის, 26-ე მუხლის, შპს „მაგთიკომი“-ს 2026 წლის 20 იანვრის N ED-26/01/20-002 წერილისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის 26 იანვრის N108-1082602685 წერილის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. მიეცეს თანხმობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერს, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „მაგთიკომს“ (ს/ნ 204876606) შორის 2018 წლის 31 ივლისს დადებულ „იჯარის ხელშეკრულება N67“-ში ცვლილების შეტანაზე (თან ერთვის შეთანხმება N1).

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

შეთანხმება N1

2018 წლის 31 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულება N67-ში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. დმანისი _____ წელი

ერთის მხრივ, შპს „მაგთიკომს“ (ს/ნ 204876606) (შემდგომში ,,მოიჯარე“) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი გაგნიძის სახით და მეორეს მხრივ, დმანისის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის კობა მურადაშვილის სახით (შემდგომში „მესაკუთრე”) დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის ___ _____ N_____ განკარგულებისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2026 წლის ___ _____ N_____ ბრძანების შესაბამისად შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. მხარეთა შორის დადებული 2018 წლის 31 ივლისს იჯარის ხელშეკრულება N67-ის მე-3 პუნქტის 3.1 ქვეპუნქტში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3.1 ყოველწლიური საიჯარო ქირა შეადგენს 630 (ექვსასოცდაათი) ლარს, 5 (ხუთი) ლარს ერთი ერთეული ნაგებობის/კონსტრუქციის გამოყენებისთვს“.

2. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2018 წლის 31 ივლისს დადებული იჯარის ხელშეკრულება N67-ის განუყოფელ ნაწილს.
3. ხელშეკრულების გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.
4. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან.
5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე და ორ ეგზემპლარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა.

,,მესაკუთრე”	,,მოიჯარე“
დმანისის მუნიციპალიტეტის მერი	შპს ,, მაგთიკომის“
	გენერალური დირექტორი
კობა მურადაშვილი	გიორგი გაგნიძე

----------კობა მურადაშვილი ----------გიორგი გაგნიძე